მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 სექტემბრის სხდომის გაგრძელება

ოქმი №12

ქ. მარტვილი 29 სექტემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე დამთავრდა 12:00 სთ-ზე

რეგისტრაცია გაიარეს: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ელენე კოკაია, ნათია ქაჯაია, სერგი ფაცაცია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ქეთევცან ბაჩილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.

მოისმინეს 1. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მ/შ-ის ქეთევან ბაჩილავას მოხსენება ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება ეხებოდა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გაზრდას, შესაბამისად გადასახდელების გაზრდას, რომელიც მიმართული იქნება სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად (კულტურული ღონისძიებები, საფეხბურთო სკოლის ხარჯები, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები). მომხსენებელმა ასევე გააცნო 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტის ხარჯებში თუ რა ცვლილება შედიოდა.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხის განსახილველად საკმარისი ქვორუმი არ შედგა საკრებულოს 2023 წლის 20 სექტემბრის სხდომაზე და სხდომა ჩაინიშნა 2023 წლის 29 სექტემბერს, შესაბამისად დღევანდელი სხდომა წარმოადგენს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 სექტემბრის სხდომის გაგრძელებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 21. წინააღმდეგი 1. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №15 სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამის შემდეგ 2023 წლის 20 სექტემბრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა